ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:ბ74. 74240082

თარიღი:08/01/2024

ტყიბულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოწვეული დასახლების საერთო კრებებისა და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ჩასატარებლად უფლებამოსილი მოხელის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N50 დადგენილებით დამტკიცებული „ტყიბულის მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების" მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.ტყიბულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოწვეული დასახლების საერთო კრებებისა და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ჩასატარებლად, მერის არყოფნის შემთხვევაში, უფლებამოსილ მოხელედ განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით.

2.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N11), ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:ბ74. 7424008001

თარიღი:08/01/2024

ტყიბულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში საპროექტო წინადადებების შერჩევის პროცედურის ორგანიზაციულ-სამართლებრივი კუთხით სწორად დაგეგმვა-გაანალიზების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" პუნქტის „ე.ე", „ე.ვ" ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი ლომთაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

სოფიო ბოჭორიშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;

ემზარ სიხარულიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ირინე კორძაია - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

კობა რობაქიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ზაზა ზოსიაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

თეიმურაზ ცქიფურიშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ელიზო ჭანტურიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტის განვითარებისა და კომუნიკაციების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ქეთევან ჯანელიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის მდივანი;

თეა არსენიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი.

2. სამუშაო ჯგუფის წევრებმა უზრუნველყონ:

გიორგი ლომთაძე - პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან;

სოფიო ბოჭორიშვილი - საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებზე და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;

ემზარ სიხარულიძე - ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება;

ირინე კორძაია - მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი

ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;
კობა რობაქიძე - მერის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა;
ზაზა ზოსიაშვილი - საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება;
თეიმურაზ ცქიფურიშვილი - პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა;
ელისო ჭანტურიძე - მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის;
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1(ერთი) თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:ბ74. 74240099
თარიღი:09/01/2024

ტყიბულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" და „ე.ი" ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „თ" ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველიპუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები.

2.დასახლების საერთო კრებები და კონსულტაციები გაიმართოს დანართი N1-ით განსაზღვრულ თარიღებში.

3.მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს და მერის წარმომადგენლებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

4.თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით.

5.მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18საათამდე, 2024 წლის 08 თებერვლის ჩათვლით.

6.დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.
7. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ:
ზაზა ზოსიაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - ტელ: 599273250, ელ. ფოსტა: tyibuli.infrastr@gmail.com;
უჩა გაბრიაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ხრესილის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 599432455, ელ. ფოსტა: ucha.gabriadze@tkibuli.gov.ge,
კახაბერ ცნობილაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი სოჩხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 595907529, ელ. ფოსტა: k.tsnobiladze@tkibuli.gov.ge ;
მელიტონ ზოსიაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ორპირის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 555981888, ელ. ფოსტა: meliton.zosiahsvili@tkibuli.gov.ge;;
გაგა ჩუბინიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ჯვარისის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 595902473, ელ. ფოსტა:gaga.chubinidze@tkibuli.gov.ge;
გიორგი ჩივაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი გურნის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 595770181, ელ. ფოსტა: Giorgi.chivadze@tkibuli.gov.ge;
ოქსანა აშოთია - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი საწირის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 595901164, ელ. ფოსტა: Oksana.ashotia@tkibuli.gov.ge;
ეთერი ბერეკაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი კურსების ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 574772102, ელ. ფოსტა: eteri.berekashvili@tkibuli.gov.ge;
ზაზა ყვავაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი მუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 599973228, ელ. ფოსტა: zaza.kvavadze@tkibuli.gov.ge;
მურადი ფორჩხიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ცუცხვათის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტელ: 558454545, ელ. ფოსტა: muradi.porchkhidze@tkibuli.gov.ge;
8.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
9. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:ბ74. 74240166
თარიღი:16/01/2024

"ტყიბულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 08 იანვრის ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება "ტყიბულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 08 იანვრის ბრძანების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი ლომთაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
სოფიო ბოჭორიშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;
ემზარ სიხარულიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ირინე კორძაია - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი;
კობა რობაქიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
ზაზა ზოსიაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
თეიმურაზ ცქიფურიშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ელისო ჭანტურიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტის განვითარებისა და კომუნიკაციების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ქეთევანი ჯანელიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის მდივანი;

თეა არსენიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

გიორგი სულაძე - ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი - პროექტების მენეჯერი.

2. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1(ერთი) თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:№74. 74240397

თარიღი:08/02/2024

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ" ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 09/01/2024 წლის №74. 74240099 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მიმდინარე წლის 5-6 თებერვალს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განვითარებული სტიქიური მოვლენებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის ცალკეულ დასახლებებში ვეღარ განხორციელდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებებისა და ამომრჩევლებთან კონსულტაციების გამართვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეტანილი იქნას ცვლილება „ტყიბულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ" ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 09/01/2024 წლის №74.74240099 ბრძანებით დამტკიცებულ დასახლების საერთო კრებებისა და კონსულტაციების გამართვის გრაფიკში და ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი N1

N	დასახლების სახელწოდება	საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება (ლარი)
1.	მანჭიორი	30.01 - 12^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
2.	ბზიაური	30.01 - 12^{30}	დასახლების საერთო კრება	10000
3.	სამტრედია	30.01 - 13^{00}	დასახლების საერთო კრება	12000
4.	ახალსოფელი	30.01 - 14^{00}	დასახლების საერთო კრება	12000
5.	ძიროვანი	30.01 - 15^{00}	დასახლების საერთო კრება	12000
6.	საწირე	30.01 - 16^{00}	ამომრჩევლებთან კონსულტაცია	16000
7.	ზედუბანი	30.01 - 16^{30}	დასახლების საერთო კრება	10000
8.	დაბაძველი	30.01 - 17^{00}	დასახლების საერთო კრება	12000
9.	ივანეული	31.01 - 11^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
10.	ხრესილი	31.01 – 11^{30}	დასახლების საერთო კრება	12000
11.	ახალდაბა	31.01 – 12^{30}	დასახლების საერთო კრება	10000
12.	გადაღმა წყალწითელა	31.01 - 13^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
13.	გადმოღმა წყალწითელა	31.01 – 13^{30}	დასახლების საერთო კრება	10000
14.	ლეღვა	31.01 - 14^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
15.	ბუეთი	31.01 – 14^{30}	დასახლების საერთო კრება	10000
16.	ძუყნური	31.01 - 15^{30}	დასახლების საერთო კრება	10000
17.	მუხურა	09.02 - 15^{00}	ამომრჩევლებთან კონსულტაცია	20000
18.	მანდიკორი	01.02 – 12^{30}	დასახლების საერთო კრება	10000
19.	შუყერი	01.02 – 13^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
20.	ლაფეთი	01.02 – 13^{30}	დასახლების საერთო კრება	10000
21.	ჯონია	01.02 – 14^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
22.	ზედა ჭყეპი	02.02 - 16^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
23.	ქვედა ჭყეპი	02.02 - 12^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
24.	ოხომირა	02.02 - 13^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
25.	კოკა	02.02 – 13^{30}	დასახლების საერთო კრება	10000
26.	ნაბოსლევი	02.02 - 14^{00}	დასახლების საერთო კრება	16000
27.	ორპირი	02.02 - 15^{00}	ამომრჩევლებთან კონსულტაცია	16000
28.	მოწამეთა	05.02 - 13^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
29.	გელათი	05.02 – 13^{30}	დასახლების საერთო კრება	16000
30.	კურსები	05.02 - 14^{00}	ამომრჩევლებთან კონსულტაცია	20000
31.	ცუცხვათი	05.02 – 15^{30}	ამომრჩევლებთან კონსულტაცია	16000

32.	ლეყერეთი	12.02 - 14^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
33.	ოჯოლა	12.02 – 14^{30}	დასახლების საერთო კრება	10000
34.	ლაშია	12.02 - 15^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
35.	ხორჩანა	12.02 – 15^{30}	დასახლების საერთო კრება	10000
36.	ჯვარისა	12.02 - 16^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
37.	ძმუისი	13.02 - 14^{00}	დასახლების საერთო კრება	12000
38.	წყნორი	13.02 - 15^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
39.	სოჩხეთი	13.02 – 15^{30}	დასახლების საერთო კრება	12000
40.	კისორეთი	14.02- 11^{00}	დასახლების საერთო კრება	12000
41.	კორეეთი	14.02- 11^{30}	დასახლების საერთო კრება	10000
42.	ბობოთი	14.02- 12^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
43.	ნაძვა	14.02- 12^{30}	დასახლების საერთო კრება	10000
44.	ანტორია	14.02- 13^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
45.	კითხიჯი	14.02- 14^{00}	დასახლების საერთო კრება	10000
46.	ციხია	14.02- 15^{30}	დასახლების საერთო კრება	10000
47.	გურნა	14.02- 17^{00}	დასახლების საერთო კრება	16000
				542000